ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/12

დაბა ქედა, **31 აგვისტო, 2023 წელი**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:40 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან 16 ესწრებოდა .

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;,
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (იმყოფება შვებულებაში);
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე (იმყოფება შვებულებაში);
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ზაზა დავითაძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/12 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

31 აგვისტო, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

დღის წერიგის დამტკიცებამდე სხდომის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაული. შემდეგ კი ღრმა მწუხარება გამოთქვა შოვში (რაჭაში) დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა სტიქიის შედეგად გარდაცვლილი ადამიანების ხსოვნისათვის წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ.

საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს.

შემდეგ ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 აგვისტოს №01-06/12 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

2.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის კომუნალურსერვისი "-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3.ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 აგვისტოს №01-06/12 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს 2023 წლის 16 აგვისტოს, მე-11 რიგგარეშე სხდომაზე წარმოდგენილ ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცების დადგენილების პროექტის თაობაზე. კერძოდ, აინტერესებდა საბოლოოდ აღნიშნული დადგენილების პროექტი სამართლებრივად დამტკიცდა თუ არა? აქვე დავით სირაბიძემ აღნიშნა ისიც, რომ ქედის მუნიციპალიტეტის ხელისუფლება ცუდი მიდგომით მუშაობდა. მისი თქმით ადგილობრივი ხელისუფლება პარტიული ნიშნით ანსხვავებდა მოსახლეობას სახელმწიფო თუ მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობისას. მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროგრამით მოტობლოკის, საცელავი აპარატის თუ სხვა რაიმე ტექნიკის მიღება იქნებოდა, თუ მოქალაქე ხელისუფლების მხრდამჭერი არ იყო ვერ იღებდა. უმეტესად კი უმრავლესობის მხარდამჭერებს უწევდათ. ამიტომ მოქალაქეებს უსამართლობის განცდა ჰქონდათ და ეს ძალიან ცუდი, არასამართლიანი მიდგომა იყო ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, რადგან მოქალაქეთა მსგავსი განსხვავება/დაყოფა ყოვლად მიუღებელი იყო.

ამირან ცინცაძემ კითხვასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება მსგავსი მიდგომით არ მუშაობდა. მათი მხრიდან არ ხდებოდა მოქალაქეების პარტიული ნიშნით განსხვავება. მისი თქმით, პირიქით შეიძლებოდა ეთქვა, ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეები უფრო იღებდნენ აღნიშნული პროგრამებიდან სხვადასხვა სოფლის პროგრამით გათვალისწინებულ ტექნიკებს, ვიდრე მათი მხარდამჭერები. ამირან ცინცაძემ ასევე აღნიშნა, რომ სიები არსებობს ვისაც მიეცათ აღნიშნული აპარატები/ტექნიკები და თავისუფლად შეიძლებოდა ამის ნახვა.

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილი ნომერი: №12-95232262-95, 14.08.2023 წელი; კომისიის დასკვნა: №დ95.95232431, 31.08.2023 წელი.) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი იყო საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-სა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფდა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იყო შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-ს დირექტორის რაულ ცინცაძის წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე განთავსებული 45,8

კვადრატული მეტრი (ს/კ 21.03.33.016.01.521) არასაცხოვრებელი ფართის დროებით (15 წლის ვადით) სარგებლობაში გადაცემა. აღნიშნულთან დაკავშირებით სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობით 2021 წლიდან დღემდე ზემოთ აღნიშნულ 45.8 კვადრატულ მეტრი ფართობის მქონე სივრცეში (ს/კ 21.03.33.016.01.521) მოწყობილიყო ციფრული წიგნიერების ცენტრი, ხოლო შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრისა" და „თბილისის ფოტო ფესტივალისა და ვიზუალური განათლების ცენტრს" შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე 2023 წლის 19 მაისს დაფუძნდა ვიზუალური განათლების ცენტრი ,,ქედის მედიათეკა". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ციფრული წიგნიერების ცენტრისა და ქედის მედიათეკის გახსნის შემდგომ სულ აღნიშნულ ფართში ჩატარებულია 50 ტრენინგი და გადამზადებულია 850-მდე მსმენელი. ციფრული წიგნიერების ცენტრი, რომელშიც მოწყობილია საკონფერენციო სივრცე ხელმისაწვდომია როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. ზემოთ აღნიშნული სივრცის გამართულად მუშაობისთვისა და შესაბამისი დამატებითი ინვენტარის შესაძენად მიზანშეწონილია მოთხოვნილი 45,8 კვადრატული მეტრი ფართი ირიცხებოდეს შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-ს ბალანსზე, რომლის ნარჩენი საბალანსო ღირებულება დღეის მდგომარეობით შეადგენდა 4500 ლარს. მომხსენებელმა აქვე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენდა შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-სათვის აღნიშნული ფართის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ საკრებულოს თანხმობის შემდგომ განახორციელოს აღნიშნული ქონების შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მომხსენებელს კითხვით მიმართა, აღნიშნული ფართში ერთ წელზე მეტია კონფერენციები თუ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები ტარდებოდა და აინტერესებდება ფართით სარგებლობისას ღონისძიების ორგანიზიტორები თუ იხდიდნენ ქირის თანხას?

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ უპასუხა, რომ წესით ფართის გაქირავების უფლება ჰქონდათ, თუმცა აქირავებდნენ თუ არა ან რა თანხა შემოდიოდა ამ ქირით ის ინფორმირებული არ იყო და დაზუსტებულ პასუხს ამ კითხვასთან დაკავშირებით ვერ გასცემდა.

კითხვა დასვა საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ, მახუნცეთში ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრს რომ ფართი ჰქონდათ, ის ფართი რჩებოდა თუ არა აღნიშნული შპს-ეს სარგებლობაში?

მომხსენებელმა უპასუხა, რომ აღნიშნული ფართი ხუთ წლიანი ვადითაა გადაცემული ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრისათვის და ჯერჯერობით მათ სარგებლობაში იყო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. (განკარგულება №გ-95.95232432, 31.08.2023 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის კომუნალურსერვისი "-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95232371-95, 25.08.2023 წელი; კომისიის დასკვნა: №დ95.95232431, 31.08.2023 წელი.) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი იყო ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების კერძოდ, „საშობაო ნაძვის ხე", რომელიც მოიცავს ნაძვის ხეს სათამაშოებით, აქსესუარებით და განათებებით, რომლის საერთო საბალანსო ღირებულება შეადგენდა 141 600 (ასორმოცდაერთიათას ექვსასი) ლარს, შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-სათვის უსასყიდლო საკუთრების უფლებით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღება. აღნიშნულთან დაკავშირებით მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2022 წლის კულტურული ღონისძიებების პროგრამული ბიუჯეტის (კულტურის განვითარების ხელშეწყობა) ქვეპროგრამით - (კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა) შეძენილ იქნა აღნიშნული საშობაო ნაძვის ხე. საშობაო ნაძვის ხის მონტაჟსა და დემონტაჟს, ასევე სხვადასხვა დეკორატიული განათების მოწყობილობების მონტაჟს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახდენდა შპს „ქედის კომუნალსერვისი", რომელსაც საკუთრებაში გააჩნდა შესაბამისი ტექნიკა. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილი იყო შპს „ქედის კომუნალსერვისი"-სათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემოდა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, ნაძვის ხე, სათამაშოებით, აქსესუარებით და განათებებით, რათა შემდგომში უზრუნველყოს მისი დასაწყობება, მოვლა-შენახვა, მონტაჟი და დემონტაჟი.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ კითხვით მიმართა მოხსენებელს, აღნიშნული საახალწლო ნაძვის ხე ამჟამად სად იყო დასაწყობებული და მასზე ზედამხედველობას, საახალწლოდ მის მონტაჟს და შემდეგ დემონტაჟს აქამდე ვინ ახორციელებდა?

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ კითხვასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ საახალწლო ნაძვის ხის მონტაჟ-დემონტაჟს აქამდეც ქედის კომუნალურსერვისი ახორციელებდა, ნაძვის ხეც მათთან იყო დასაწყობებული, ფაქტიურად მათ ახორციელებდნენ ყველაფერს და სწორი იქნებოდა ოფიციალურადაც გადაეცათ მათთვის და ამის შემდეგ ისინი აიღებდნენ უკვე პასუხისმგებლობას ნაძვის ხის მოვლა-შენახვაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მომხსენებელს კითხვით მიმართა, ყოველ წლიურად ნაძვის ხეს მონტაჟი და შემდეგ დემონტაჟი სჭირდება. შესაბამისად, ამისათვის თანხაა საჭირო. ამ სახსრებს ნაძვის ხის გადაცემის შემდეგ ვინ გაიღებდა?

სულიკო ბოლქვაძემ კითხვასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ საახალწლო ღონისძიებების ორგანიზებისათვის არსებობდა ბიუჯეტში შესაბამისი თანხა და იქ საახალწლო ღონისძიებების ორგანიზების ჩამონათვალში ერთ-ერთი ნაძვის ხის მონტაჟი და დემონტაჟიც იყო გათვალისწინებული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95232431, 31.08.2023 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95232122-95, 31.07.2023 წელი.).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა მომხსენებელს კითხვით მიმართა, ნაგავმზიდი მანქანა შესყიდული იყო უკვე თუ ახლა ხდებოდა შესყიდვა, რა ეტაპზე იყო ეს პროცესი ამჟამად?

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ კითხვასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ ნაგავმზიდი მუნიციპალიტეტის მერიამ წინა სესხით შეისყიდა, ახლა ყიდულობდნენ ავტობუსს და ტრაქტორს (JCB), რომლებზეც ხელშეკრულებაც დაიდო უკვე. ხოლო ნაგავმზიდის ხელშეკრულება დადებული იყო თუ არა ზუსტ პასუხს ვერ გასცემდა, რადგან დაზუსტებით არ ფლობდა ამის შესახებ იფორმაციას.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ მომხსენებელს კითხვით მიმართა, მონაწილეობით ბიუჯეტს წელს როდის იწყებდნენ?

მომხსენებელმა უპასუხა, რომ სავარაუდოდ 15-20 სექტემბრამდე გამარჯვებულს გამოავლენდნენ და შემდეგ ისინი ვალდებული იქნებოდნენ წლის ბოლომდე წარმოედგინათ გამარჯვებული იდეები, რადგან შეძლებოდათ მათი განხორციელება 2024 წლის ბიუჯეტით.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა მომხსენებელს ჰკითხა, მონაწილეობთ ბიუჯეტზე როდის დაიწყებოდა განცხადების მიღება?

მომხსენებელმა უპასუხა, რომ პირველ ეტაპზე მერია დაიწყებდა საინფორმაციო კამპანიას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. შემდეგ დაახლოებით ოქტომბრის დასაწყისისათვის, შეიძლება უფრო ადრეც მოხდარიყო განცხადებების მიღება. წელს მოხდებოდა გამარჯვებული იდეის/პროექტის გამოვლენა, დათვლა, შემდეგ დამტკიცება საკრებულოს მიერ და მომავალ წელს მისი შესრულება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, პროექტების განხორციელებას რომ პრობლემა არ შექმნოდა მერია თუ ითვალისწინებდა ბაზარზე საქონლის ფასთა ცვლილებას?

მომხსენებელმა კითხვასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ პროექტების ღირებულების დათვლა სწორედ მაგის გამო ხდებოდა მე-4 კვარტალში, რადგან უახლოესი საბაზრო ფასით ხდებოდა მათი განსაზღვრა.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა მომხსენებელს კითხვით მიმართა, ტენდერების ჩავარდნა ასე სისტემატიურად რატომ ხდებოდა, არქიტექტურის სამსახური ვერ ახდენდა პროექტების ღირებულების სისწორით დათვლას თუ რა იწვევდა საბოლოო ჯამში ტენდერების ჩავარდნას?

მომხსენებელმა კითხვასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ ასე კონკრეტულად ვერ იტყოდა თუ რა იყო ამისი მიზეზი, რადგან შეიძლებოდა ტენდერი სულაც იმის გამო ჩავარდეს, რომ მონაწილეობა არავინ მიიღოს. აქვე ჯემალ ტაკიძემ აღნიშნავდა იმასაც, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე გამართული და კარგი პროგრამა იყო. ამას ადასტურებს ისიც, რომ მონაწილეობით ბიუჯეტზე მოსახლეობის ჩართულობისა და აქტიურობის მაჩვენებელი ძალიან მაღალი იყო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95232433, 31.08.2023 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:40 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი: **ნონა ბერიძე**